ფასი 5 კაპ.

ლუმა

ალმანახი №2

გამოვა როცა ეს შესაძლებელი იქნება. შემდეგ №-დან ვეცდებით სურათების მოთავსებას. ადრესი: სტამბა „ძმობა" კაზაკოვის ქუჩა სახ. № 17

შინაარსი: 1) მოწინმვე, 2) შეკითხვა სამღვთო სჯულის დედა ენაზე სწავლების შესახებ. 6 თებერვლის სხდომა. (სიტყვები იაგელოს, ალექსეევის, ჩხენკელის, სვეტნიცკის და სხ.). 3) შეკითხვა კავკასიაში საშვალო ნუსხის შეცვლის გამო. (სიტყვები ჩხენკელის, ჩხეიძის და გელოვანის.

ქუთაისი, 10 მარტი.

ალმანახის პირველ ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ მთავობის დეკლარაცია და მისი პასუხი სხვადასხვა ფრაქციებისაგან. მარა, სამწუხაროთ უადგილობის გამო იძულებული გავხდით სრულიად გამოგვეტოვებია ნაციონალურ წარმომადგენლობათა პასუხები; ეს მით უმეტეს გავბედეთ, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ თქმული სიტყვები მოთავსებული იყო ადგილობრივ ყოველ დღიურ გაზეთებში და მაშასადამე მკითხველს იგი წაკითხული ექნებოდა. ამ ჟამათ ჩვენ გვსურს უმთავრესი ყურადღება მიყაქციოთ სახ. დუმის მეორე მთავარ საგანს -ესაა შეკითხვები. შეკითხვა დეპუტატების უდიდესი იარაღია აუარებელ უკანონობათა აღსანიშნავათ, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენში. ამ შეკითხვებით, კონკრეტიულ მაგალითებზე სურათდება ნამდვილი სახე მთავრობის პოლიტიკისა ამა თუ იმ სფეროში. ამა თუ იმ კუთხის და ერის მიმართ. მასში, როგორც სარკეში, მოსჩანს ამასთანავე მთელი სისტემა დღევანდელი რუსეთის, მთელი თავის სიგძე-სიგანით. დეპუტატს საშვალება ეძლევა ისარგებლოს ამ მწვავე მომენტით და ხელი ჩასჭიდოს დღევანდელ პოლიტიკის დედა ძარღვს და გაშიშვლებული გამოიტანოს იგი საზოგადოებისა და კანონმდებლობის წინაშე. ესაა უდიდესი მნიშვნელობა ყოველ შეკითხვის. ამიტომ ჩვენ სრული უარყოფით ვუყურებთ ისეთ მოვლენას, როცა შემკითხველნი დასაბუთებას გაურბიან და მხოლოდ შეკითხვის მიღებით კმაყოფილდებიან. პირიქით, აქ აუცილებლათ საჭიროთ მიგვაჩნია საკითხის გაშუქება და მისი პრინციპიალური მნიშვნელობის გამოაშკარავება.

ამ მხრით საყურადღებოა ამ ნომერში მოთავსებული შეკითხვები. ერთი მათგანი ეხება სამღვთო სჯულის დედაენაზე სწავლების გაუქმებას არა მართლმადიდებელთათვის, მეორეა საშკოლო შეკითხვა კავკასიაში. ორივე შეკითხვა მემარცხნეთაგან არის შეტანილი და უმთავრესათ მართებლობისაგან განაპირა ქვეყნებში მიღებულ პოლიტიკის დამახასიათებელია. ჩვენ გვეგონა, რომ ადგილობრივი გაზეთები რაიმე მხრით აღნიშნავდენ ამ საგანს. მარა გარდა შემკითხველების წინაალმდეგ დემაგოგიურ ბრალდების წამოყენებისა ვერაფერი დავინახეთ. თვით იმათაც კი, რომელნიც გელოვანს ქართველ ერის ერთათ ერთ წარმომადგენლათ გვისახავენ, ამ შემთხვევაში, ე. ი. სწორეთ საქართველოს შკოლების შესახებ მისგან ნათქვამი სიტყვა დღემდე არ გააცვნეს მკითხველებს. მარა გადავიდეთ ისევ კითხვებზე.

პირველ შეკითხვას იცავდა იაგელო, ვარშავის მუშათა დეპუტატი, მეორე და მესამეს, ჩხეიძე და ჩხენკელი. პირველი შეკითხვის გამო უკმაყოფილო დარჩენ პოლონეთის კოლოს დეპუტატები, მეორით გელოვანი და ჩვენი ნაციონალისტები. ორივემ ერთი და იგივე საბუთი წამოაყენეს, რათ ჩვენც არ გაგვირიეთ შეკითხვაში და ჩვენთან ერთათ შეთანხმებულათ არ გამოდით მათ დასაცველათო. მართლაც რათ არ მოხერხდა ეს შეთანხმება? მიზეზი ადვილი გასაგები იქნება, თუ მათ ნალაპარაკევს დაუკვირდებით. ორივე შეკითხვის შესახებ უკმაყოფილო დეპუტატებმა საბაბი იშოვეს ლაპარაკის და კიდეც ილაპარაკეს. მარა დაუკვირდით, რა დიდი პრივციპიალური განხსვავებაა მათს და ინტერპელიანტების, სიტყვებ შორის, პირველნი ამ შეკითხვის საგახს ადგილობრივი თვალსაზრისით ზომავენ, კერძო ერთი კუთრხის შეურაცყოფათ თვლიან, მეორენი ე.ი. ს. დ. კი მთელ სისტემასდღევანდელი წყობილებისას ამ მაგალითით ასაბუთებენ, პირველთ აინტერესებთ უმთავრესათ ეს ფაქტი უკანონობის, მეორეთ კი ამ ფაქტის სახით სურთ ქვეყანას პრინციპიალურ საკითხებზე მიუთითონ, მთელი სისტემის უვარგისობა დაანახვონ. ერთი სიტყვით მეორენი შეკითხვას ფართეთ აყენებენ, პრინციპიალურათ სვამენ, პირველნი ვიწროთ. ამიტომ მეორეთა სიტყვა მთელი რუსეთის დემოკრატიის ყურადღებას იპყრობს, ყველასთვის მწვავე საკითხათ ხდება, პირველთა პირში კი იგივე საქმე ერთი კუთხვის ფარგლებს არ სცილდება, და ასე თითქოს განგებ საზოგადო მნიშვნელობას მოკლებული ხდება. ცხადია ასეთ დიამეტრალურათ წინააღმდეგ თვალსაზრისზე მდგომი ხალხი ერთად შეთანხმებულათ ვერ დაიცავს ასეთ პრინციპიალურ საკითხს. თუ არ გჯერათ ნათქვამი, აიღეთ ეს ნომერი ხელში და გადაათვალიერეთ თუნდაც კრუპსკის შესახებ შეკითხვაზე ნათქვამი სიტყვები ჩხეიძე-ჩხენკელისა ერთი მხრით და გელოვანის მეორე მხრით. და თქვენ დაინახავთ, თუ რა დიდი განსხვავებაა ამ ორ მხარეს შორის. თქვენ შეიძლება ამის შემდეგ არც ის გაგიკვირდეთ, რომ თვით გელოვანის მომხრე გაზეთებმა მისი სიტყვა დღემდე არ აღბეჭდეს თავის ფურცლებზე, თუმცა მის გარშემო განგაში დიდი ქონდათ ატეხილი!

ჩვენ მეტს აქ არას ვიტყვით.

სახელმწიფო დუმა
6 თებერვლის სხდომა.
(**შეკითხვები**)

სხდომა იხსნება 2 სათზე და 16 წუთზე.

თავჯდომარე: განსახილველია 31 წევრის შეკითხვა სახალხო განათლების მინისტრისადმი შესახებ იმ პირთა ენაზე საღმთო სჯულის სწავლებისა, რომლებიც ეკუთვნიან არა მართლმადიდებელ ეკლესიებს. კითხულობენ შეკითხვას:

შეკითგვის სიჩქარეს იცავს სახელ. დუმის წევრი **იაგელო**.

იაგელო. (ს. დ. ვარშავიდან) ბატონო სახელმწიფო დუმის წევრნო! ეგრეთ წოდებული 1905 წ. 1 აპრილის უმაღლესი უქაზი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ სხვა და სხვა სარწმუნოების აღმსარებელთათვის სამღვრთო სჯულის სწავლებას მოსწავლეთა სამშობლო ენაზე აწესებს ამასთან ერთათ 1906 წლის 22 თებერვლის დროებითი წესების თანხმათ მოსწავლეთა სამშობლო ენა მშობლების ანუ მზრუნველების წერილობითი განცხადებით უნდა აღინიშნოს; და აი ახლა, ამ კანონის 7 წლის არსებობის შემდეგ დაუღალავმა კასომ 1912 წ. 27 ოქტომბერს გამოცემული ცირკულიარით ,,განმარტა'' ის. კანონით აღნიშნული წესი, თუ როგორ ენა ვინ უნდა გამოარკვიოს, რომელი ენაა მოსწავლის სამშობლო ენა, ახლა მისი განკარგულე-

ბით სამოსწავლო მთავრობის სურვილის და შეხედულების თანახმათ უნდა გადაწყდეს. და მართლაც, ბატონებო, ვინ უნდა თქვას სისწორით და გამოარკვიოს, თუ არა ისევ მშობელმა, თუ რომელი ენა უნდა ჩაითვალოს მისი შვილის სამშობლო ენათ? კასოს ცირკულიარით კი ამ კითხვას თვითონ სასწავლებლის უფროსები გადაწყვეტენ, მათგან შეკრებილ ცნობების მიხედვით. ამ ცნობებს ისინი ამოკრებენ არა მარტო მშობლებთან საუბრიდან, არამედ ბავშვებთან ლაპარაკიდან. კასოს უწყების ჩინოვნიკები იმ კითხვის გამოსარკვევათ, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნიან ბავშვები, ზეგავლენას მოახდენენ ბავშვებზე, უკეთ რომ ვთქვათ იმათ სარწმუნოებრივ სინდისზე ძალდატანებით იმოქმედებენ. ამას ექნება ის მნიშვნელობა, რომ ბავშვებში მონური გრძნობები განავითაროს, მარა ცირკულიარზე უფრო დამახასიათებელი მისი შენიშვნაა, რომლითაც იმ შკოლებში, სადაც სამღვთო სჯულის მასწავლებელმა მოსწავლეების სამშობლო ენა არ იცის, სამღვთო სჯული რუსულ ენაზე უნდა ასწავლოს; და რა თქმა უნდა, ბ. კასოს ხელქვეითებმა, კარგათ იციან, როგორი გზით შეიძლება ბრწყინვალე „კარიერის“ გაკეთება, სამსახურში „დაწინაურება“. ისინი შესაფერ დასკვნას გამოიყვანენ მისი განკარგულებიდან და ყოველთვის ეცდებიან სამღვთო სჯულის მასწავლებლებათ ისეთები გააწესონ, რომლებმაც მოსწავლეების სამშობლო ენა სულაც არ იციან. თუ ჩვენ ახლა ეს შეკითხვა შემოგვაქვს, ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ვერ ვცნობთ შკოლებში სამღვთო სჯულის სწავლების საქმეს სწორათ და რიგიანათ დაყენებულათ, არა ჩვენ სარწმუნოება მიგვაჩნია კერძო ცხოვრების საქმეთ და ამიტომაც მოვითხოვთ, რომ ის სახელმწიფოსგან გამოცალკევებულ იქნას. აი აქედან გამოვდივართ და ვამბობთ, რომ შკოლას მხოლოდ „საერო“ ხასიათი უნდა ქონდეს. იქ მხოლოთ და განსაკუთრებით საერო-განათლების ხასიათის საგნებს უნდა ასწავლიდენ; მხოლოდ მაშინ განიკურნება და გაიწმინდება შკოლის შინაგანი ცხოვრება ასეთ მომწამვლელ პოლიტიკისაგან; მხოლოთ მაშინ შეიძლებს მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი ისარგებლოს შკოლაში ხანგრძლივათ გატარებული დროთი, რომ აუცილებელ ზნეობრივ გინვითარებით მაქსიმუმს მიაღწიოს. მარა, რაკი ახლა საღმთო სჯულსაც ასწავლიან სახელმწიფო შკოლაში, როგორც სავალდებულო საგანს, ამიტომ მასაც, ისე როგორც სხვა სამოსწავლო საგანს, უნდა ასწავლიდენ სამშობლო ენაზე განუჩრევლათ სარწმუნოებისა და ეროვნებისა. 1912 წლ. 27 ოქტომბრის ცირკულიარი კი მცხოვრებთა ამ ელემენტარულ უფლებას მეტათ ტლანქათ და მოუხეშავათ არღვევს. ამ ნაირათ, ბატონებო, ჩვენ ლიკვიდაციის ახალ აქტთან გვაქვს საქმე: იმ მრავალ დათმობათაგან, რაც ბიუროკრატიამ განმათავისუფლებელ დღეებში დაუთმო ხალხს, ახლა სპობენ. ამ ბოლო ხანებში მთავრობის მოქმედება, უმთავრესათ, იმაში გამოიხატა, რომ უსირცხვოთ მოსპო, გააქროსულ მეტი დამეტი რიცხვი იმ დათმობისა, რომლებიც ხალხის მოძრაობის შიშით 1905 წ. თვითონვე აღიარა. რასაკვირველია, სხვა აშკარა უკანონობათა შორის, რომელიც კი ხალხისთვის ბიუროკრატიას მიუყენებია და რომლებიც მესამე სახელმწიფო დუმის უმრავლესობისგანაც კი არიან აღნიშნულნი, ეს უკანასკნელი ცირკულიარული განკარგულება კასოსი ახალს, განსაკუთრებულს და შესამჩნევს რასმე როდი წარმოადგენს. მაგრამ მაინც ამ აქტის პრაქტიკული შედეგი იმდენათ სერიოზულია, რომ უფლებას და საბუთს გვაძლევს, ამ შეკითხვის საჩქაროთ განხილვა მოვითხოვოთ. და მართლაც ეს ცირკულიარი რომელიც 1905 წ. 17 ოქტომბრის უქაზს ასე უსირცხვოთ არღვევს, მეტათ მწვავე ტკივილებს გამოიწვევს პოლონელ მკვიდრთა მასაში. ჩვენ მალე დავინახავთ, თუ რა შოვინისტურ და ნაციონალისტურ განგაშს და ყვირილს გამოიწვევს ის პედაგოგებსა შორის და აქედან ერთი მხრით ეს შეამცირებს პოლონეთის შკოლებში პოლონელ მოსწავლეთა რიცხვს და მეორე მხრით გამოიწვევს კიდევ უფრო სასტიკ რეპრესიებს და დევნას მთავრობისას. მარა ეს კი-

დევ ცოტაა. ხალხის სინდისის ყოველ გვარი შევიწროება-შეწუხება არა თუ მარტო თავისთავათ მავნებელია, არამედ ის საზარალოა იმიტომაც, რომ ის აუცილებლათ ბადებს ნაციონალისტურ მითქმა-მოთქმას, აურზაურს და მასას ნაციონალისტურ გუნებაზე აყენებს, რომლის წყალობითაც ყველა ერების ბიუროკრატია ცდილობს ხალხის ყურადღება უსაჭიროეს მოთხოვნილებებს ააშოროს, ისეთ მოთხონილებებს, რომლებიც.... (ხმაურობაა; არ ისმის)... ეს დებულება უფრო ნათელია (არ ისმის), ვიდრე ის, რომელსაც პოლონეთის თანამნდროვე ცხოვრება იძლევა. პოლონეთის გაბატონებულმა (არ ისმის), რომელიც დაჩაგრული და დევნილი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენს, ბრძოლა გამოუცხადა კიდევ უფრო ჩაგრულს და დევნილს ერს, ებრაელებს.... (ხმაურობა.... არ ისმის)...

მთელი პოლონეთის სივრცეზე მათი საზიზღარი დევნა-აწიოკება, გამეფებული. საზოგადოებრივი ატმოსფერა სულის შემხუთველი შეიქნა და ამ დროს მხოლოთ პოლონელმა და ებრაელმა მუშებმა შეიძლეს საკადრისი პასუხი მიეცათ შოვინისტთა ბანაკისათვის. ყველაზე ჩამორჩენილ მუშათა წრეებზე საშინლათ და დამღუპველათ მოქმედებს ეს დევნა-აწიოკება. 1912 წ. 27 ოქტომბრის ცირკულიარი ყველაზე უწინ ლიტვასა და ბელორუსიას ეხება და მიმართულია ლიტველებისა და ბელორუსების წინააღმდეგ. ის უსათუოთ გამოიწვევს ყველა ჩემ მიერ ჩამოთვლილ შედეგებს და ამიტომ ჩვენ დაჟინებით და ენერგიულათ მოვითხოვთ, რომ საჩქაროთ იქნას ეს შეკითხვა განხილული. (ხმები მარჯვნით: არაფერი არ გვესმის; მარცხნით ტაშის ცემა).

სიჩქარის წინააღმდეგია დუმის წევრი ალექსეევი.

ალექსეევი: (ქ. ვარშავიდან) 31 შემკიშემკითხველებმა ქ. ვარშავის დეპუტატის, პოლონელის კოლოს წარმომადგენლის, იაგელოს მეთაურობით (ხმები მარცხნიდან: ძირს პოლონეთის კოლო, სადაური პოლონეთის კოლოა) ...უკაცრავათ, დიდათ ბოდიშს ვიხდი, მე მეგონა, რომ ქ. ვარშავის დეპუტატები ყველა „კოლოს“ წევრები იყვენ. (ტაშისცემა და სიცილი მარჯვნით; ხმები მარცხნით: მაშ თქვენ თითონ რათ არა ხართ მისი წევრი?) ბატონებო, სიჩქარის მისაღებათ, სამი რამ არის საჭირო: პირველი უეჭველი უკანონობა, მეორე ფაქტიური სისწორე — და მესამე კითხვის განხილვის დაგვიანების უხერხულება. ამ საზომის მიხედვით რაც ძალი და ღონე იყო, მთელი ჩემი სმენა ბ. იაგელოს სიტყვას მივაპყარ, მარა სიტყვაში ვერავითარ მოტივს ყური ვერ მოვკარი..... შემკითხველნი თავის აზრს, რომ მოსწავლეების სამშობლო ენის აღნიშვნა კანონით მშობლებს ეკუთვნის, ასაბუთებენ მინისტრის დროებითი წესებიდან მოყვანილი სიტყვებით: „მოსწავლეთა ბუნებრივი ენა აღინიშნება წერილობით ან მშობლების ანუ მზრუნველების მიერ“. მერე კი ამავე საგნის შესახებ მინისტრის 1912 წლისას 27 ოქტომბრის ცირკულიარს უკანონოთ თვლიან. პირველ შემთხვევაში „დროებითი წესების“ თანახმათ დადგენილი კანონიერ ნორმათ არის აღიარებული, მეორე ხოლო შემთხვევაში იგივე დროებითი წესების ძალით, მინისტრის მიერ გამოცემული ცირკულიარი უკანონოთ რაც დიდ წინააღმდეგობას შეიცავს. მესამე დუმის გამოცდილებიდან ვიცით, რომ დროებითი წესები კანონის ნორმათ არ შეიძლება ჩაითვალოს: კანონის ძალითვე მინისტრს უფლება აქვს თავისი წინა მოადგილის დროებითი წესები თავისი დროებითი წესებით შეცვალოს; მარა ეს უკანონობა არ იქნება. ამიტომ წარმოდგენილ შეკითხვაში ჩვენ მინისტრისგან ჩადენილ უკანონობას ვერ ვხედავთ. რაც შეეხება მის შემდეგისთვის გადადების უხერხულობას, ეს ხომ სულ უსაფუძვლოა, რადგანაც კითხვა, თუ რომელ ენაზე უნდა სწარმოებდეს შკოლაში სწავლება, ყველგან სამოსწავლო წლის დასაწყისში უნდა ირკვეოდეს; ახლა კი სამოსწავლო წლის მეორე ნახევარი მიდის, ამიტომ სრულიათ უალაგოა ამ კითხვის ამჟამათ დაჩქარება.....

სიჩქარეს იცავს **ჩხენკელი**. ბბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! დაუდგრომელი

და, მასთან შეიძლება ვთქვათ ისტორიული ხასიათი წინა ორატორის სიტყვისა ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენმა შეკითხვამ მიზანს მიაღწია. ის პირდაპირ მოხვდა ნიშანში სახელმწიფო დუმის უმრავლესობის და მთავრობის ნაციონალისტურ პოლიტიკას. ჩვენ ჩვენის მხრით მუდამ გამოვააშკარებთ თქვენს შოვინისტურ და კაცომძულვარე ინსტინკტებს ქვეყნის წინაშე. (მარჯვნით მოძრაობა, ხმები მარცხნიდან: მართალია)... რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს ნება მომეცით ახლავე გადავიდე მაზე.

სოციალდემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა ეხება ჩვენში სახელგანთქმულ სარწმუნოებრივ თანასწორობას. მე ვფიქრობ, იმ ქვეყანაში, სადაც პირველობა და ბატონობა ერთი სარწმუნოებისა აღიარებულია, ასე, ვთქვათ-უმაღლეს სახელმწიფოებრივ სიბრძნეთ, იმ ქვეყანაში, სადაც გაბატონებულ ეკლესიის მსახურთ ინახავენ არა მარტო მართლმადიდებელთა ხარჯზე, არამედ მასთან ერთათ მწვალებლების, სექტანტების და სხვა რწმენის ხალხის ხარჯზე, ამნაირ ქვეყანაში სარწმუნოებრივ თანასწოროობაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ჩვენ, სოციალდემოკრატები წინააღმდეგი ვართ იმის, რომ რომელიმე ეკლესიას, თუნდ ის მართლმადიდებელი ეკლესია იყოს, სახელმწიფოებრივი ხასიათი მიეცეს და მოვითხოვთ ეკლეიის გამოცალკავებას სახელმწიფოსაგან. მაგრამ ახლა კამათია არა ამ კარდინალურ კითხვაზე, არამედ იმაზე, რომ დავიცვათ ის მინიმუში სარწმუნოებრივ თავისუფლებისა, რომელიც არსებულ კანონებით არის დადასტურებული. რას ვხედავთ ჩვენ აქ? 17 აპრილის 1905 წ. უმაღლესი ბძანება, რომლის დარღვევას ჩვენ სახალხო განათლების სამინისტროს ორგანოებს ვაბრალებთ, წარმოსდგა 12 დეკემბრის 1904 წ. უმაღლეს ბძანებისაგან. ეს უკანასკნელი კი თავის მხრით ეყრდნობა 1903 წ. 26 თებერვლის მანიფესტს. ყველა ამ საბუთებში ვკითხულობთ, რომ სარწმუნოებრივი თავისუფლება ერთი შეურყეველ საფუძველთაგანი უნდა იქნეს რუსეთის იმპერიის. 1904 წ. 12 დეკ. უმაღ. ბძანება 6 მუხლი კი თხოულობს, რომ მთავრობამ გადაათვალიეროს კანონ მდებლობა მწვალებლების და იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლითაც სხვა სჯულის აღმსარებელნი სარგებლობენ. და მხოლოდ 1905 წ. 17 აპრილის უმაღლეს ბძანებაში ჩვენ ვხედავთ ამ დებულების ერთი ნაწილის შესრულებას. ესაა ის 14 მუხლი, რომელიც, უფლება გვაქვს, გაუქმებულათ ჩავთვალოთ პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მართველის ცირკულიარულ განკარგულების შემდეგ. წაკითხულ შეკითხვიდან თქვენ იცით, რომ 14 მუხლი გადაჭრით მოითხოვს, რომ სხვა სარწმუნოების მიმდევართათვის საღვთო სჯულის სწავლება ყველა სასწავლებლებში უნდა სწარმოებდეს მოწაფეთა დედა-ენაზე. ეს მოთხოვნილება ემყარება მინისტრთა კომიტეტის იმ შეხედულებაზე, რომელიც გატარებულია მათ ჟურნალში 1905 წლის 22 თებერვალს. იქ ჩვენ ვკითხულობთ, სხვათა შორის, შემდეგს: „კომიტეტის რწმენით საღვთო სჯულის დედაენაზე სწავლების აკრძალვა ადვილათ მიიღებს სარწმუნოებრივ დევნის ხასიათს, გამოიწვევს ძალუმ მღელვარებას და ასე წინ გადაეღობება საზოგადო ცხოვრების მშვიდ მიმდინარეობას“.—ბოლოს, 22 თებერვალს 1906 წ. სახალხო განათლების მინისტრმა გამოსცა დროებითი წესები, რომლის 2 მუხლი ამბობს, რომ მოწაფეთა დედაენა გაისაზღვრება მათი მშობლების და აპეკუნების წერილობითი განცხადებით. ოფიციალურ აკტების ზერელე გადათვალიერებიდანაც ნათლათ სჩანს, როგორც თითონ კანონის აზრი, ისე მისი განსახორციელებელი საშვალება. ძნელი არაა იმის შენიშვნა, რომ ეს კანონი სრულიადაც არ შეიცავს ყველა იმას, რაც თავდაპირველათ საჭიროთ მიაჩნდათ ამ კანონისთვის დაემქვემდებრებიათ. ცხადია, რომ დეკემბრის უქაზის 6 მუხლი თხოულობს მწვალებლების და სხვა სჯულის აღმსარებელთა კანონმდებლობის გადასინჯვას, მარა 14 მუხლი ეხება მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანებს. ამ ნაირათ სხვა სჯულის აღმსარებელნი, რომლებიც რუსის ხალხის ევროვნებას არ ეკუთვნიან, მოკლებული არიან ამ მუხლში გატარებული

მცირედ გარანტიასაც კი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ მხრით რამდენიმე მილიონ მუსულმანთა მდგომარეობა, მაგრამ ებრაელთა მოგომარეობა კიდევ უარესია. ებრაელების ენა ბიუროკრატიის ანგარიშში სრულიად არ შედის, მას მოქალაქურ უფლებას არ აძლევენ.

საღმრთო სჯულის და სხვა საგნებს ყოველ შკოლაში რუსულათ ასწავლიან ებრაელთა ბავშვებს, მაგრამ სახალხო განათლების სამინისტროსთვის ეს საშინელი უსამართლოებაც საკმარისი არ შეიქმნა. და ის სპობს იმ უმნიშვნელო უფლებებსაც, რომელიც დიდი შრომით და მსხვერპლით იქნა მოპოებული 1905 წ. თუ კი დროებითი წესები, რომელნიც მშობლებს და აპეკუნებს აძლევს უფლებას თითონ გამოარკვიონ თავის ბავშვების და საეპეკუნოების დედა ენა, სისწორით გამოხატავს უმაღლესი ბრძანების მე-14 მუხ. აზრსა და მნიშვნელობას, ცხადია, ჩვენს შეკითხვაში მოყვანილი ცირკულიარი პეტერბურგის სამასწავლებლო ოლქის მართველისა წარმოადგენს მშობლების და აპეკუნის ამ ბუნებრივ უფლების უზურპაციას, მოტაცებას სასწავლებლების უფროსების სასარგებლოთ და მით სასიკვდილო ლახვარს სცემს ამ კანონს. თანახმათ ამ ცირკულიარისა ბავშვების დედაენას ამიერიდან განსაზღვრავენ სასწავლებლების უფროსები ე. ი. საბოლოოვოთ ისევ ჩვენი შეკითხვის გმირი ბ. **კასო**. იმის გამოსარკვევი საშვალება, თუ ვინ არის ელინი და ვინ ბარბაროსი, სავსებით შეეფერება ჩვენი ბიუროკტრატების ტალანტს მაძებრობის სფერაში. პატარა ბავშვებს და მათ მშობლებს აწ ეგზამენს დააჭერიებენ მარტო ზეპირში კი არა, არამედ წერაშიაც, რომ ამით გამოარკვიონ მათი დედაენა. პირისპირ წაუყენებენ ერთიმეორეს და ეცდებიან პატარაების ჩვენებით გააქარწყლონ მათი მშობლების ჩვენება და პირიქით. თუ სხვა და სხვა აზრი დატრიალდა და საქმე გაძნელდა, მაშინ ჩამოერევა სამასწავლებლო მთავრობა, და მთელი მისი იერარქია თვით მინისტრამდე. ჩვენ, მგონია, მოვესწრებით იმ დროს, როცა უცხო ტომის ორივე სქესის ბავშვებს ათასობით მოიყვანებენ ჩერნიშევის ხიდთან-მოედანზე, რომ ამით ბ. კასოს საშვალება მიეცეს, თითონ შეამოწმოს ადგილობრივი ცნობები მათი სამშობლო ენის შესახებ.

ჩავყვეთ ქვევით: პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მართველის ცირკულიარს, ერთი შენიშვნა ახლავს, რომელიც ბავშვების დედაენის გამორკვევის მაგიერ წინადადებას იძლევა მასწავლებლების ენა იქნეს გამორკვეული. აი სიტყვა სიტყვით ეს შენიშვნა: „თუ, საღვთო სჯულის მასწავლებლებმა არ იციან ბუნებრივი ენა ბავშვებისა მაგალითად: ლატიშური, ლიტვური და სხ., მაშინ ამ საგნის სწავლება უნდა წარმოებდეს სახელმწიფო ენაზე.“ ამნაირათ, საქმე გასაოცრათ გაადვილდება: აწ ბავშებს კი არ დააჭერიებენ ეგზამენს, არამედ მათ მასწავლებლებს. მაგრამ თქვენ იცით ბბ., რომ მასწავლებლების შესახებ საქმე სხვანაირათაა. ვინ ნიშნავს ამ მასწავლებლებს? სამასწავლებლო მთავრობა. მაშასადამე, ვიღა დაუშლის ამ მთავრობას მასწავლებლებათ დანიშნოს ისეთი პირები, რომლებმაც ბავშების ენა არ იციან? თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს დიდებული შენიშვნა წინდაწინვე პრემიას პირდება სამოსწავლო მთავრობის წარმომადგენებს შესაფერ მასწავლებელთა დანიშვნისათვის. ის მიხვეულ-მოხვეული გზით აგრძნობიებს მათ, რომ კანონს შამოუარონ. აი საქმე სანამდი მივიდა! კანონი თხოულობს, რომ სამღვთო სჯულის სწავლება დედაენაზე წარმოებდეს. აქედან ცხადია, რომ მასწავლებლებათაც ისეთები უნდა დაინიშნონ, რომლებმაც ეს ენა იციან; მიუხედავათ ამისა, შენიშვნა შესაძლებლათ ცნობს ისეთი პირების დანიშვნას, რომლებმაც მოწაფეების ენა არ იციან, და უნდა ასწავლონ მათ რუსულს, ან როგორც ამბობენ, სახელმწიფო ენაზე. ამნაირათ, გამოდის, რომ შკოლები მასწავლებლებისათვის არსებობს და არა მასწავლებლები შკოლებისათვის. მე ვიტყოდი მთელი მოსწავლე თაობა რუსეთისა კასოსთვის არსებობს და არა ბ. კასო ამ თაობისათვის. ბბ. სახელმწიფო დუმის წევრნო! მე დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენ შესაფერი ყურადღება მიაქციოთ ამნაირათ უფლების დარღვევას. არავის ეუბვი

არ უნდა ექნეს იმაში, რომ ცირკულიარული განკარგულება პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მართველისა სპობს უმაღლეს ბძანების 14 მუხლს. უკეთეს შემთხვევაში ამ შენიშვნის გამოყენება, რომელიც მე თქვენ წაგიკითხეთ, წესათ გადაიქცევა, ხოლო ბძანების 14 მუხ. ასრულება იშვიათი და არა ჩვეულებრივი იქნება, მივაქცევ თქვენს ყურადღებას სამინისტროს 22 დეკემბრის 1906 წ. განკარგულების და აგრეთვე 27 ოკტომბრისა 1912 წ. გარეგნულ მხარეს; პირველს შემთხვევაში ეს განკარგულებანი დროებითი წესებათ იქნენ გამოცხადებული, მეორე შემთხვევაში კი საიდუმლო წინადადებისა სახით მოევლინენ სამასწავლებლო ოლქების მზრუნველთ. აქედან აშკარაა, რომ მინისტრი, რომელმაც განიზრახა მოსწავლეთა დედაენის წინააღმდეგ ამხედრება, თითონვე გრძნობდა ამის უკანონობას. მას, ასე ვთქვათ, „საიდუმლოთ“ სურდა გაეყვანა თავისი არა პედაგოგიური და ანტინაციონალური ზომები, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ან როგორ უნდა მოხერხებულიყო, როცა ასეთ თავგამოდებულ „ჩინოვნიკებთან გაქვთ საქმე?“. გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ ადგილობრივ უკვე ხორციელდება სახალხო განათლების მინისტრის ეს საიდუმლო წინადადება, აი ერთი ცნობა. „ამ დღეებში ვილნოს საქალებო გიმნაზიის დირეკტორმა ბძანა, რომ საღვთო სჯული რუსულ ენაზე ესწავლებიათ მოწაფე ქალების-ლიტველებისათვის; როცა განცვიფრებულმა მშობლებმა მიმართეს მას თხოვნით, რომ მას მათი ბავშვებისთვის სამღვთო სჯულის დედაენაზე შესწავლის საშვალება არ მოესპო, მან განაცხადა „დირეკტორმა უკეთ იცის კანონი“ და, დაუმატა, რომ მისი განკარგულება ეთანხმება არა მარტო კანონს, არამედ მთავრობის სურვილსაც. განა საჭიროა ვამტკიცოთ, რომ ფარისეველურათ კანონის ხსენება სრულიად უადგილოა ამ შემთხვევაში? ჩვენ ვიცით, რომ მთავარი მიმზიდველი მნიშვნელობა აქვს არა კანონს, არემედ მთავრობის სურვილს. სახალხო განათლების დირეკტორმა ჩინებულათ იცის (მე ვფიქრობ ის წერა კითხვის მცოდნეა), რომ ის აღღვევს კანონს; მარა საქმეც იმაშია, რომ მას არ სურს კანონის შესრულება. მთავრობის ნება მისთვის ყველა კანონზე ძლიერია. აი მეორე ცნობაც: კიევის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა გაიგო რა, რომ სამღვთო სჯულის სწავლება ქსენძების მეოხებით პოლონურ ენაზე სწარმოებს, წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქის მართველთ, რომ ამიერიდან არა მართლმადიდებელ ბავშებისთვის სამღვთო სჯული რუსულ ენაზე ესწავლებიათ. ამნაირათ კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ერთი კალმის მოსმით მოსპო პოლონელ მოსწავლე ბავშების უფლება და თავის ენაზე საღვთო სჯულის შესწავლისა. ამნაირათ მან გადაჭარბა არა თუ კანონს, არამედ თვით ბ. კასოს ცნობილ შენიშვნასაც.

აი კიდევ სხვა ცნობაც, რომელიც გვიჩვენებს თუ საიდან წარმოსდგა მინისტრის წინადადება. ცნობა ამოღებულია გროდნოს გუბერნატორის მოხსენებიდან მთავრობისადმი. აი რაა იქ ნათქვამი: „პოლონური ენის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 1906 წ. 22 თებერვლ. წესები შეიცვლება და სამასწავლებლო მთავრობას მიეცემა უფლება თითონ განსაზღვროს ენა, რომელზედაც უნდა ასწავლიდენ რომის-კათოლიკეთა ბავშებს სამღვთო სჯულს მიუხედავათ მშობლების განცხადებისა“. ამნაირათ, ბატონებო, ბ. კასომ პირველი ნაწილი თავის საიდუმლო განკარგულებისა გუბერნატორის ამ მოხსენებიდან ამოიღო. ის, სიმართლეს ვერ დავფარავ, პირნათლათ მიყვება იმ ტრადიციას, რომელიც მის უწყებაში დიდი ხანია გამეფდა: ის თავის ზომებს უთანხმებს ან პირდაპირ ღებულობს პოლიციის დეპარტამენტის კანცელიარიებიდან.

ყველა ამის შემდეგ ცხადია, რომ ჩვენი შეკითხვა წარმოსდგა სამღვთო სჯულის დედა ენაზე სწავლების გამო, მარა არსებითათ იგი ეხება უფრო ფართო სფერას, სახელდობრ მართველთა ნაციონალისტურ პოლიტიკას. ამ შეკითხვაში მოყვანილია ერთი იმ მრავალ ფაქტთაგანი, რომელთაც ყოველ დღეს ვხედავთ ჩვენს კურთხეულ რუსეთში. ზოგიერთების დედაენა სრულიად განდევნილია ხმარებიდან, როგორც მაგალითად ენა მალოროსიული, ბელოროსიული, ებრაული და სხვა. სხვების ენას სასტიკათ დევნიან, როგორც მაგალითად: პოლონურს, ლიტვურს, ლატიშურს, ესტონურს, თათრულს, სომხურს და ქართულს. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია მდგომარეობა კავკასიაში, მარა ამაზე შემდეგ. ახლა კი უნდა ვთქვა შემდეგი: ქართველ ბავშებს სამღვთო

სჯულს ასწავლიან საშვალო სასწავლებლებში რუსულ ენაზე. მერე რატომ? რა მოსაზრებით? იმიტომ, რომ ისინი მართლმადიდებელი არიან. „თქვენ იგივე სარწმუნოება გაქვთ, რაც რუსებს, მაშასადამე სამღვთო სჯული რუსულ ენაზე უნდა ისწავლოთო!!“ აი ასე მსჯელობს კავკასიის სამოსწავლო მთავრობა. ისეთი პირებიც იყვენ სჯულის მასწავლებელთა შორის, და ამის შესახებ მემარჯვენე ორატორმა კითხვაც აღძრა,--რომლებიც დიდის გატაცებით უმტკიცებდენ ქართველ ბავშებს, რომ ღმერთს მხოლოდ რუსული ან, უკეთ, საეკკლესიო სლავიანური ენა ესმისო. ბატონებო, არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამ ტრიბუნიდან სიამოვნებით დაეთანხმა სახელმწიფო დუმის დეპ. მაკლაკოვის ერთ უტოპიურ განცხადებას: ეს იყო სურვილი იმის, რომ აღმასრულებელი ძალა კანონიერებას იცავდეს.

ახლანდელი შეკითხვა თვალსაჩინოთ ამტკიცებს, რომ ჩვენში არა თუ არ ხორციელდება კანონი, არამედ მისი დარღვევა კარგ სამსახურათ ეთვლება დამრღვევთ. მოიგონეთ ბატონებო, ტრეშჩენკოვი, რომელმაც ასობით უდანაშაულო მუშები დახვრიტა, მოიგონეთ კურლოვი და კამპანია. განა ისინი კანონის ძალით დასაჯეს?! სრულიადაც არა, ისინი ახლაც თავისუფლათ დასეირნობენ მაშინ, როცა ათასობით...

თავმჯდომარე: ამას შეკითხვის სიჩქარესთან დამოკიდებულება არ აქვს, ილაპარაკეთ შეკითხვის სიჩქარეზე.

ჩხენკელი... მაგრამ საჭიროც არაა ასე შორს წავიდეთ. რით აიხსნება ბ. კასოს დარჩენა მთავრობაში და ის შარავანდედი, რომელიც მან მაღალი სფერების თვალში მოიპოვა? ჩემი აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ ის სისტემატიურათ, სრულიად შეგნებულათ არღვევს კანონს. ამ შემთხვევაში მან გააუქმა ის საცოდავი მინიმუმიც კი რელიგიოზურ-ეროვნული უფლებებისა, რომელიც იურიდიულათ მაინც უზრუნველ ყოფილი იყო. დღევანდელი სისტემისაგან, ბატონებო, ჩვენ ეს არ გვიკვირს; ჩვენი ბიუროკრატია სავსეა ისეთი ვაჟბატონებით, რომლების ადგილი ან ბრალდებულთა სკამზე უნდა იყოს ან შეშლილთა სახლში. გაზეთები გადაჭრელებულია ცნობებით ავაზაკ „ჩინოვნიკებზე, ვნებათა ღელვით გატაცებულ გუბერნატორებზე... სატუსაღოს გამგე-პედაგოგებზე და სხვა. მიუხედავათ ამისა, მე ვიტყვი, რომ ისეთი ტიპის ყოლა სახალხო განათლების მინისტრათ, როგორიც ბ. კასოა, რუსეთისთვისაც კი სამარცხვინოა.

თავმჯდომარე: ეს არ ეხება შეკითხვის სიჩქარეს, გთხოვთ ამას ნუ ეხებით.

ჩხენკელი. და თუ თქვენ უარს ყოფთ შეკითხვის სიჩქარეს, მაშინ თქვენც მონაწილე იქნებით თვით ამ სამარცხვინო მოვლენის.

სიჩქარიის წინააღმდეგ ლაპარაკობს მღვდელი **ოკოლოვიჩი**, რომელიც ილაშქრებს პოლონელ სამღვდელოების წინააღმდეგ და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მინისტრი თავის განკარგულებით ნებას აძლევს მასწავლებლებს ასწავლონ პოლონეთში ბავშვებს ბუნებრივ ენაზე: ბელორუსიულზე, მალორუსიულზე, ლიტვურზე, ესტონურზე და სხვა, ხოლო პოლონეთის კათოლიკე მღვდლებს სურთ ყველა ამათ სამღვთო სჯული ასწავლონ მხოლოთ პოლონურ ენაზე. ამ ნაირათ ამ შეკითხვის მიღება ნიშნავს ბელორუსების და სხვების გაპოლონელებითვისს ხელის შეწყობას, ამიტომ მის სიჩქარის საჭიროებას მთელი ჩემი სულით და გულით ვეწინააღმდეგები. თუ გინდათ, რომ დასავლეთის მხრის რუსის ხალხი არ ჩააგდოთ საშინელ მწუხარებაში, მაშინ უნდა უარყოთ ამ შეკითხვის სიჩქარის საჭიროება, თვარა მისი მიღებით გამოწვეული ხალხის ცრემლები შურისძიების ღმერთს უხმობს (ტაშის ცემა მარჯვნით)...

სიჩქარის საჭიროება უარყოფილ იქნა.

თავმჯდომარე: შემოვიდა განცხადება, რომლითაც წინადადებას იძლევიან, რომ შეკითხვა ორი კვირის ვადით გადაეცეს კომისიას განსახილველათ.

ამ კითხვაზე ლაპარაკობს დეპ. **სვენციცკი** (ვილნოს გუბერ.) ბატონნო სახელმწ. დუმის წევრნო. შემკითხველებმა, სოციალდემოკრატებმა არ მომცეს მე საშუალება სიჩქარის საჭიროების დამცველათ გამოსულვიყავ. სოც.-დემოკრატ. ფრაქციის მიერ შემოტანილი შეშეკითხვის მაგვარი შეკითხვა დუმამ 1912 წ. მარტში მოისმინა. მაშინ ის წარმოდგენილი იყო პოლონეთის კილოს მიერ.

ორატორი კარგა ხანს ლაპარაკობს, მარა ნაკლებათ უსმენენ მას.

თავჯდომორე. კენჭს ვუყრით ვადის დანიშვნის საკითხის ხმის უმეტესობით დუმამ ვადის დანიშვნა მიიღო.

სხდომა 10 წამით შეწყდა.

სხდომა იხსნება 4 საათზე და 27 წუთზე თავ. **ურუსოვის** თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე: განსახილველია სახელ. დუმის 30 წევრის (№ 13) შეკითხვა მთი იმპერატორებითი უდიდებულესობის კავკასიის მოადგილის და სახალხო განათლების მინისტრის მიმართ კავკასიის სამოსწავლო მთავრობის უკანონო მოქმედებათა გამო.

შეკითხვის სიჩქარეს იცავს ა. ჩხენკელი.

ბ.ბ. სახელმწიფო დუმის წევრნო? საკითხი, რომელიც წამოყენებულია ს. დ. ფრაქციის შეკითხვაში, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია მთელი კავკასიისათვის. ის, რაც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ჩაიდინა, ლოდიკურათ გამომდინარეობს იმ საერთო სისტემიდან, რომელიც გაბატონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქში. რუსეთის მთავრობა სამშობლო ენის დევნის საქმეში არ ზოგავს არც ქართველებს, არც მუსულმანებს და არც სომხებს. „ინოროდცების“ გარუსება—აი მთავრობის უმთავრესი მიზანი, და აქედან სრულიად ბუნებრივია ის, რომ მთავრობის პოლიტიკის ქვაკუთხედათ გამოცხადებულია სამშობლო ენის დევნა.

სამშობლო ენას სდევნიან ეკლესიებიდან, სასამართლოებიდან, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება თავს ატყდება სკოლებს. თავისი მიზნის მისახწევათ კავკასიის სამოსწავლო მთავრობა ხშირათ სცვლის თვით რუსული ენის სწავლების მეთოდსაც. ერთი ასეთი მეთოდთაგანია ეგრეთ წოდებული ამერიკული ან მუნჯური მეთოდი, რომელიც დიდი ხანია, რაც სასაცილოთ იქნა აგდებული. აღნიშნული მეთოდის მიხედვით სკოლაში ახლათ შემოსული ბავშებისათვის მასწავლებელს რუსული უნდა დაეწყებინებია. სიტყვების ან ცნებების დედა ენაზე ახსნა არ შეიძლებოდა. ასეთი ახსნა —განმარტების მაგივრათ მასწავლებლებს უნდა მიემართათ შემდეგი საშვალებისათვის: ისინი მოწაფეებს თითით ანიშნებდენ სამოსწავლო ოთახში მოთავსებულ ნივთზე, ან სურათზე გამოსახულ საგანზე, რუსულათ იტყოდენ მათ სახელს და შემდეგ მოწაფეებსაც გაამეორებიებდენ. მაგრამ როდესაც საქმე მიდგებოდა ცოცხალ არსებათა მოქმედებასა და მოძრაობაზე მასწავლებლები ხეულის მოძრაობით და ამა თუ იმ მისაბაძი ხმის გამოცემით სცდილობდენ აეხსნათ ბავშებისათვის, რას აკეთებს საგანი, ან რა ემართება მას. ამ გვარ შემთხვევებში მასწავლებელს ხშირათ უხდებოდა იატაკზე ფოთხვა, კედლებზე პოტინი, ყეფა, კნავილი და ყიყინი. ხშირათ სულ უბრალო ცნებების ბავშებისათვის გადასაცემათ მასწავლებლები ისეთ საშვალებებს მიმართავდენ ხოლმე, რომ მათზე ლაპარაკი უხერხულათ მიმაჩნია. აიღეთ ასეთი მარტივი ცნება: ქათამი სდებს კვერცხს. როგორ უნდა გადაეცა მასწავლებელს და გაეგებინებია ბავშებისათვის ეს ცნება სამშობლო ენის დაუხმარებლათ? ამ ტრიბუნის პატივისცემის გამო მე არ შემიძლია ნათლათ წარმოგიდგინოთ საბუდარზე დამჯდარი საბრალო სოფლის მასწავლებელი. აი რას წარმოადგენდა რუსული ენის სწავლება ეგრეთ წოდებული ამერიკული მეთოდით. ამ მეთოდის წყალობით სკოლა სალაზღანდარო ადგილათ გადაქცა, ხოლო მასწავლებელი კომედიანტათ. ტყუილა კი არ სწერდა კავკასიის ნამესტნიკი გრ. ვორონცოვ—დაშკოვი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 1907 წ.: „რომ რუსული ენის შეთვისების მაგიერ და მაზე სწორათ წერა კითხვის შესწავლის ნაცვლათ გამოდის რაღაც გაუგებარი სიტყვებისა და წინადადებების უაზრო გაზეპირება. ამავე დროს სასწავლო ენის უკოდინარობა ბავშებს სხვა რაიმე ცოდნის შეძენის საშვალებასაც არ აძლევს სკოლაში.“ ჩვენი შეკითხვაც კავკასიის სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლებას შეეხება, მაგრამ არა მის მეთოდის, არამედ დროს, საიდანაც უნდა იწყებოდეს მისი სწავლება.

უნდა გაგახსენოთ, ბატონებო, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის პოლიტიკანობა სკოლების საქმეში დიდი ხანია იწვევდა და ახლაც იწვევს უკმაყოფილებას ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. თვით მეფის მოადგილე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ამ საგნის შესახებ გამოწვეული უკმაყოფილება ხშირათ საშიშ მიმართულებას იღებდა და ამას შედეგათ ის მოყვა: „რომ ამიერ კავკასიაში სახალხო სკოლების უსარგებლოთ და საზარალოთაც მიაჩნიათ“. 1897 წ., როდესაც ხალხში დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი სამშობლო ენის დევნის გამო, ქ. ქუთაისში მოიწვიეს სახალხო მასწავლებელთა კრება. რომელზედაც წამოაყენეს მოთხოვნილება, რომ სახალხო სკოლებში ყველა საგნების სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. რუსულ ენას უნდა დათმობოდა სავალდებულო საგნის ალაგი.

იმ დროს სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი იძულებული შეიქნა ეზრუნა ახალი სასწავლო გეგმის შედგენაზე. გეგმა შემუშავდა და 1880 წ. 12 დეკემბერს დასამტკიცებლათ წარედგინა მეფის მოადგილეს კავკა-

სიაში, დიდ თავადს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენებაზე მეფის მოადგილემ შემდეგი რეზოლიუცია წააწერა: ,,მეფის მოადგილემ განსაკუთრებული სიამოვნებით წაიკითხა ოქმში მოთავსებული სასწავლო გეგმა პირველ დაწყებითი სკოლებისა ადგილობრივ მკვიდრთა შორის და სავსებით მოიწონა ეს გეგმა, როგორც მტკიცეთ შეთანხმებული საღ პედაგოგიურ მოთხოვნილებებთან, და იმ შეხედულებებთან, რომელნიც ადგილობრივი შკოლებისთვის უმაღლესათ მოწონებული და მიღებული არის მეფის მოადგილეს მიერ.'' ეს სასწავლო გეგმა გრ. ვორონცოვ—დაშკოვმა 1905 წ. 29 სექტემბერს სახელმძღვანელოთ შემოიღო კავკასიის სახალხო შკოლებში. ხოლო 1907 წ. 1 ნოემბერს ეს სასწავლო გეგმა სხვა წესებთან ერთად, რომლებიც ,,ინოროდცების'' პირველ დაწყებით შკოლებს შეეხებოდა, უმაღლესი ბრძანების თანახმათ დამტკიცებულ იქნა სახალხო განათლების მინისტრის მიერ.

1881 წ. სასწავლო გეგმა, დიდი მთავარის მტკიცების წინააღმდეგ, ძალიან შორს არის საღ პედაგოგიური მოსაზრებებისაგან და მით უმეტეს ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაგან. მაგრამ ეს მცირემნიშვნელოვანი გეგმაც-კი ვერ მოუნელებიათ რუს ბიუროკრატებს, რომელნიც სახალხო განათლების საქმეს უდგანან სათავეში კავკასიაში.

აღნიშნული სასწავლო გეგმიდან მე მოვიყვან იმ ადგილს, რომელიც ასეთ შურს იწვევს სამოსწავლო მთავრობის ბობოლა მოხელეებში. „როდესაც მოწაფეები რამოდენიმეთ შეისწავლიან წერა-კითხვას სამშობლო ენაზე, ე. ი. დაახლოვებით სასწავლო წლის მეორე ნახევრის დასაწყისში, მათ უნდა დაიწყონ რუსული ენის ზეპირი შესწავლა. რუსული ენის სწავლება უნდა სწარმოებდეს ყოველ დღე ნახევარი ან 3/4 საათის განმავლობაში და უნდა გაგრძელდეს სასწავლო წლის ბოლომდი. ბავშებმა რუსულ ენაზე უნდა გაიცნონ ის მასალა, რომელიც მათ უკვე შესწავლილი აქვთ დედაენაზე, ე. ი. მათ ირგვლივ მყოფი საგნების სახელები, და აგრეთვე ის მასალა, რომელიკ მოთავსებულია რუსულ პირველ საკითხავ წიგნში, აგრეთვე რუსული ანგარიში. ამ სახით, მეორე განყოფილებაში გადასულმა მოწაფემ უნდა იცოდეს დედაენაზე წერა-კითხვა, დედაენაზე და რუსულ ენაზე 100-მდე ანგარიში, მარტივი ამოცანების გამოყვანა 1-დან-20-მდე, უნდა შეეძლოს სამღვთო ისტორიიდან უმთავრესი შემთხვევების მოყოლა სამშობლო ენაზე სურათებზე ჩვენებით და გაცნობილი უნდა იყოს რამოდენიმე რუსულ სიტყვას და წინადადებებს“.

ახლა მე გეკითხებით თქვენ, რას გვეუბნება ჩემგან წაკითხული ადგილი 1881 წ. სასწავლო გეგმისა? ის გვეუბნება, პირველ ყოვლისა, რომ სახალხო შკოლის პირველ განყოფილებაში რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდან; მეორეთ მას, რომ რუსული ენის სწავლება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ლექსიური გაკვეთილების შემწეობით. ასე რომ მეორე განყოფილებაში გადასულმა მოწაფემ უნდა იცოდეს რამოდენიმე რუსული სიტყვა და წინადადება- როგორ გამოიყენა ქუთაისის დირექციამ სასწავლო გეგმის ეს ნათელი და გადაჭრილი მოთხოვნილება?

1913 წლის დასაწყისში ის სახალხო სკოლების გამგეებს გაკვეთილების ახალ ნუსხას უგზავნის და ავალებს, რომ რუსული ენის სწავლება სამოსწავლო წლის პირველი ნახევრიდანვე დაიწყონ, იმ ანგარიშით, რომ მეორე განყოფილებაში გადასულ მოწაფეებს თავისუფლათ შეეძლოთ რუსული წერა კითხვა. ქუთაისის დირექციის მოთხოვნილება ანგარიშს არ უწევს არც სასწავლო გეგმას, არც პედაგოგიის კანონებსა და არც საღ მოსაზრებას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ უნდა მოგახსენოთ შემდეგი; ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არა რუსული ენის სწავლების შესახებ საერთოდ, არაუედ ამ ენის უფრო რაციონალურათ შესწავლის შესახებ ქართველი ბავშვებისაგან. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ „ინოროდცების“ ბავშებმა უნდა შეისწავლონ რუსული ენა, მაგრამ ამასთან ავე მოვითხოვთ, რომ ეს სწავლება ხდებოდეს თვით ბავშების სასარგებლოთ, მათ სულიერ

და ფიზიკურ თვისებათა მხედველობაში მიღებით. არა პედაგოგისთვის არც ადვილი მოსახველრია, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს „ინოროდცების“ ბავშვებისათვის უცხო ენის შესწავლა, როგორიც არის მაგალითათ რუსული.

ამიტომ რუსული ენის სწავლება ისე უნდა სწარმოებდეს, რომ ბავშის გონება არ დაჩლუნგდეს, რომ მოსწავლეებს საშვალება ექნესთ ნორმალურათ განვითარდენ და ელემენტარული ცოდნა მიიღონ. ყველა თქვენგანმა კარგათ იცის. ბ. ბ., რომ საშვალო სასწავლებლებში ახალ ენების სწავლება მოსამზადებელი კლასებიდან არ იწყება. მერე რატომ? იმიტომ, რომ პედაგოგიკის კანონებისა და საღი მოსაზრების თანახმად, სკოლაში ახლათ შესულ ბავშებისათვის შეუძლებელია ასეთი უაზრო მოთხოვნილებების წაყენება. პირველათ მათ მშობლიურ ენაზე უნდა ივარჯიშონ, შეისწავლონ წერა-კითხვა, შეითვისონ მისი შემწეობით სხვა საგნებიც, და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ისინი საკმარისათ მომაგრდებიან ფიზიკურათ და გონებრივ მუშაობასაც შეეჩვევიან, მათ ისე აღარ გაუჭირდებათ უცხო ენების შესწავლა. „ინოროდცების“ ბავშებისათვის ხომ რუსული იგივე უცხო ენაა, რატომ მოითხოვენ მათგან იმას, რასაც საშვალო სასწავლებელში მოსწავლე რუს ბავშებს არ სთხოვენ? მაგრამ კავკასიის სამოსწავლო ოლქისათვის ასეთი კითხვების დაყენება—ღია კარების მტვრევა იქნებოდა. კავკასიის სამოსწავლო მთავრობას ერთად ერთი მიზანი აქვს დასახული, ეს არის ადგილობრივ მკვიდრთა გარუსება და ამ მიზნის მისაღწევათ ის არავითარ საშვალებას არ ერიდება, არ იბრალებს ჩვილ ბავშებსაც და ამახინჯებს მათ სპეტაკ სულს, აჩლუნგებს მათ ნიჭს.

თქვენ ისიც კარგათ მოგეხსენებათ, რომ 7—8 წლის ბავშების გულის-ყურის დაქანცვა არ შეიძლება გაკვეთილების უზომო რიცხვით. მე მაგალითისათვის ავიღებ გაკვეთილების ორ ნუსხას. ერთი მათგანი შედგენილია 1881 წ. სასწავლო გეგმის თანახმათ, ხოლო მეორე ახალი, ამ გეგმის წინააღმდეგ. პირველ შემთხვევაში გაკვეთილების რიცხვი პირველი განყოფილებისათვის სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში უდრის 20-ს კვირაში, ხოლო მეორე ნუსხის მიხედვით, ვინაიდან ამ ნუსხაში რუსული ენაც არის ჩატანილი, გაკვეთილების რიცხვი უდრის 25-ს. ეს კიდევ ცოტაა. პირველი ნუსხის თანახმად მოწაფეებს მხოლოდ კვირაში ორჯერ აქვთ ოთხ-ოთხი გაკვეთილი, დანარჩენ დღეებში-კი სამ-სამი გაკვეთილი აქვთ. ახალი ნუსხის ძალით კვირაში ერთ დღეს იქნება ხუთი გაკვეთილი, ხოლო დანარჩენ დღეებში ოთხ-ოთხი. ჩემის აზრით, დირექციის ასეთი საქციელი ბავშების აღზრდის წმინდა საქმის საცინლათ აგდებაა და მეტი არაფერი.

მესამე სახ. დუმის მოქმედებიდან მე თქვენ მოგაგონებთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. მან განიხილა და მიიღო კანონპროექტი პირველ დაწყებით სკოლების შესახებ. კანონპროექტი აღიარებს სამშობლო ენაზე სწავლების საჭიროებას პირველ დაწყებითი სკოლებში. შემდეგ ეს კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოში მოხვდა და იქ გაიჩხირა უძრავათ. მაგრამ მე მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრა იმას, თუ როგორი პოზიცია ეჭირა სახალხო განათლების მინისტრს აღნიშნული კანონპროექტის შეტანის დროს იმ საკითხის შესახებ, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. აი რას ვკითხულობთ ჩვენ ამ კანონპროექტში: „ინოროდცების“ სკოლებში რუსული ენის სწავლებას უნდა შეუდგენ პირველი სამოსწავლო წლის სამი თვის გასვლის შემდეგ.“ ამგვარათ, თვით ბ. კასოც კი, ეს არა რუსი ბურჯი რუს ნაციონალისტებისა, უაზროთ და შეუფერებლათ სთვლიდა რუსული ენის სწავლების დაწყებას „ინოროდცების“ ბავშებისათვის მათი სკოლაში შესვლის დღიდან. ის პირდაპირ ამბობს: „რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს სამი თვის შემდეგ.“

კავკასიის სამოსწავლო ოლქისათვის არ არსებობს არც კანონი, არც საღი მოსაზრება, არც შებრალება. ის ფეხ ქვეშ სთელავს ყველაფერს. 1881 წ. სასწავლო გეგმა მან კანონს გარეშე გამოაცხადა, თავისი შოვინისტური სულისკვეთება კი კანონიერების მანტიაში გახვია. მიუხედავათ იმისა, რომ მეფის მოადგილეს გრ. ვორონცოვ-დაშკოვს თვისი რეზიდენცია ამ ჟამათაც თფილისში აქვს, მანაც არ მიაქცია სათანადო ყურადღება მისგანვე მოწონებული სასწავლო გეგმის დარღვევას.

მესამე სახ. დუმაში მემარჯვენე დეპუტატებმა შეიტანეს ეგრეთ წოდებული კავკასიის, ან უკეთ რომ ვსთქვათ დემაგოგიური შეკითხვა. შეკითხვაში ისინი ლაპარაკობდენ კავკასიის ნამესტნიკის უმოქმედობის შესახებ რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობის საქმეში. ამ შეკითხვის განხილვის დროს კავკასიის ადმინისტრაციის მოქმედებიდან ისეთი დაუჯერე-

ბელი ამბები გამომჟღავნდა, რომლის წინაშე არაფრათ არ გეჩვენებათ ყოველივე ის, რაც რუსეთის ცენტრში მოხდა. ცეცხლითა და მამახვილით განადგურება სოფლებისა და ქალაქებისა, გლეხების სარჩო-საბადებლის დაწვა-გატაცება, სახრჩობელები, გაუპატიურება, სკოლებისა და სამკითხველოების თავლებათ გადაქცევა, — აი კავკასიის ადმინისტრაციის უმოქმედობა! განა გისაკვირველია ამას შემდეგ, რომ გულ-კეთილი გრ. ვორონცოვ—დაშკოვი, როგორც მას ზოგიერთები ადიდებენ, იმავე დენაციონილიზაციას ნაქებ საქმეს, მე კი ვიტყოდი, კავკასიის დეცივილიზაციის საქმეს ემსახურება?!

ჩვენ, შეკითხვის ავტორები, მოვითხოვთ, მის სიჩქარით განხილვას. აქ ადგილი არ აქვს ფორმალური ხასიათის საწინააღმდეგო მოსაზრებას. სახალხო შკოლების დირექტორის ბ. კრუპენსკის, ე. ი. უკაცრავათ, კრუპსკის მიერ მიღებულმა ზომებმა მთელ ქუთაისისის გუბერნიაში საშინელი აღშფოთება და სასტიკი გაგაკიცხვა გამოიწვია. ქალაქის თვითმართველობებმაც-კი, რომელიც ძალიან ძვირათ გამოდიან პროტესტანტების როლში, ხმა აღიმაღლეს და განსაკუთრებულ დადგენილებებში დაგმეს ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობის უკანონო განკარგულება. ამ განკარგულებას სასტიკათ წინააღუდგა ქართველი დემოკრატიაც, რომლის წინააღმდეგაც უმთავრესათ მიმართული იყო დირეკციის მოქმედება. ამას გარდა, ჩვენ მივიღეთ მრავალი საპროტესტო წერილი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთაგან კრუპსკის მოქმედების წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი შეკითხვის სისწრაფით განხილვას, რათა ბ. ბ. კრუპსკეებმა და რუდოლფებმა იცოდნენ, რომ კარიერის გაკეთება მათ, როგორც რუსეთის ბიუროკრატებს, შეუძლიათ, მაგრამ ძალიან სახიფათოა მათთვის მთელი ხალხის ეროვნული ღირსების ასე უდიერათ შებღალვა (მარცხნით ტაშიხ ცემა).

შეკითხვის სიჩქარის წინააღმდეგ არავინაა, სიჩქარეს იცავს ნ. ჩხეიძე:

მარკოვი მეორე (ადგილიდან): ჩხეიძე ფურო საინტერესოა, ინებეთ გეთაყვა.

ჩხეიძე: მე მზათა ვარ, ბატონებო, რომ თქვენი ყურადღება დავიმსახურო.

ბატონნო სახელმწიფო დუმის წევრნო! ჩვენ ჩვენი შეკითხვა, როგორც თქვენც გეხსომებათ, 21 იანვარს შემოვიტანეთ, ხოლო 25 იანვარს, როგორც იცით, აი ამ ტრიბუნაზე გაჩნდა ბ. კასო და მოგვცა თავისი განმარტება თქვენ მიერ წაყენებულ კითხვაზე. თქვენ მაშინ გაიგეთ, თუ რა ყოფაშია რუსული კულტურის, რუსული განათლების რუსული შკოლის საქმე. თქვენ თითონ თქვენ თავზე გამოცადეთ, ბატონებო, თუ რა დამშვიდება შეუძლია ბ. კასოს სიტყვას ან თქვენი ან საზოგადოების. ასე რომ, სწორე რო ვთქვათ, ამის შემდეგ შემიძლია დამშვიდებული ვიყო შესახებ იმისა, თუ რა ხდება იქ, კავკასიაში.

თუ თქვენ სახეში მიიღებთ, რომ რუსეთის ცენტრში, რუსული განათლების შუაგულ ალაგას აღზრდის საუკეთესო წესათ აღიარებულია ჯაშუშობა, შვილების მშობლებისაგან მაბეზღრობა, ბავშვების საპოლიციო სამართველოებში თრევა და სხვა და სხვა, მაშინ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა მდგომარეობაში იქნება აღზრდის საქმე განაპირა ქვეყნებში, მაგალითათ ჩვენში, კავკასიაში. მარა, რაკი შეკითხვა უკვე შემოტანილი გვაქვს, ჩვენ მაინც გვსურდა გვეცნობებია თქვენთვის ზოგი ფაქტი, რომლებიც ნათლათ გვიჩვენებენ სკოლის მდგომარეობას კავკასიაში; და ეს მით უფრო, რომ იმ მცირე ამბავს, რომელიც ჩვენს შეკითხვაში არის მოთხრობილი, მოყვა შკოლისთვის საბედისწერო შედეგები.

შედეგათ მოყვა აი რა: დაუწყეს დევნა სახალხო მასწავლებლებს. მე უკვე ცნობები მაქვს მიღებული, რომ ადგილიდან დათხოვნილი არიან შემდეგი მასწავლებელნი: ბათუმის ოლქის მასწავლებელი გვარათ ჩახვაძე, შემოქმედის შკოლის ზედამხედველი ჩხატარაიშვილი, რომელსაც 19 წელიწადი უმსახურნია; იმავე სკოლის მასწავლებელი გორდულაძე, აცანის სკოლის ზედამხედველი ინწკირველი, რომელსაც 15 წელიწადი უმსახურია და მესამე მასწავლებელი იმავე აცანის სასწავლებელისა, მაჭავარიანი; აცანის ქალთა სკოლის მართველი ეკ. ქუთათელაძე; მეორე მასწავლებელი ქალი ლუბა პაპკოვისა, ამაღლების სკოლის ზედამხედველი მანთიძე, შუა ამაღლების სკოლის მასწავლებელი სიხარულიძე, ბასილეთის სკოლისა-ლომთათიძე, ხულინის სასწავლებლის ზედამხედველი შაბახაზოვი; მასწავლებელი გორგაძე, რომელიც სამ სახალხო შკოლაში ნამსახურია: და მერე ვინ დააყენეს ამათ ადგილზე? ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო თფილისის გუბერნიის დ. მცხეთიდან გამოგზავნი-

ლი ცნობა, რომ იქ, სადაც ბავშვებს მხოლოდ ქართული ენა ესმით, ამა წლის სექტემბრიდან დანიშნულია მასწავლებლათ პეტერბურგის საერობო სამასწავლებლო ხუთ კლასიანი სასწავლებლის კურს დასრულებული ქალი, გვარათ მასლოვისა, რომელმაც სრულიათ არ იცის სხვა ენა, გარდა რუსულისა. როგორც ხედავთ, მასწავლებლების ნაცვლათ, რომელთაც რამდენიმე ათეული წელიწადი უმსახურნიათ, გზავნიან სოფელში ისეთ პირს, რომელმაც ქართული ერთი სიტყვაც არ იცის, ბავშვებს კი რუსულის არაფერი ეყურებათ. აი ვის გზავნიან მასწავლებლათ სოფელში, ვის ავალებენ შეასრულოს ეს ხალხის მასწავლებლის მძიმე საქმე პირველ დაწყებითი სკოლაში.... (ხმები მარჯვნით: ეს კანონიერია.... ეს კანონიერია). და სწორეთ ამ კანონიერების შესახებ გვინდა ჩვენ ვილაპარაკოთ!

ახლა ნება მიბოძეთ გიამბოთ, თუ პედაგოგების რანაირი ტიპები იწვრთვნებიან საქმეთა ამგავარ ვითარების პროცესში. ნება მომეცით, დაგისურათოთ ერთი მეტათ ტიპიური პედაგოგის, გვარათ ტერ-გასპარიანცის ხასიათი. მისი დახასიათება ეკუთვნის თვითონ მისსავე უფროსს, ქუთაისის, გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, ბ. კრუპსკის. ბ. გასპარიანცის მუდმივმა ყალბმა და მოუფიქრებელმა მოპყრობამ მასწავლებლებისადმი იქამდე მიიყვანა საქმე, ამბობს თავის „რაპორტში“ ბ. კრუპსკი, რომ მან მოსწავლეთა თვალში დაკარგა ყოველივე ნდობა და თავის თავისადმი მთელი ქართველი საზოგადოების მტრობა გამოიწვია. საიდან და რა წრიდან ადგენდა ბ. გასპარიანცი სახალხო მასწავლებელთა კრებულს, ეს სჩანს შემდეგი მაგალითიდან: ბ. ტერ-გასპარიანცმა მასწავლებლათ მიიწვია ყოფილი სოფლის „მწერალი“, ვიღაც გორგიძე, კაცი, რომელიც სამსახურიდან პასპორტების ვაჭრობისათვის იყო დათხოვილი და აი, ასეთ კაცს დიდ მფარველობას უწევს ბ. ტერ-გასპარიანცი: ჯერ ის თავის „კანცელარიაში“ მიიწვია მწერლათ, თუმცა, როგორც თითონვე ტერ-გასპარიანცი ამბობს, გორგიძე ამ საქმისთვის არ ვარგოდა, რადგან მას ცუდი ხელი (პოჩერკი) აღმოაჩნდა. მერე კი მთელი სკოლის სვე-ბედი მას მიანდო. აი ასე ახასიათებს ტერ-გასპარიანცს მისივე უფროსი, როცა მან მთელ საზოგადოებაში თავისი მოქმედებით დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. რას წარმოადგენს თითონ ბ. კრუპსკი? ამ კითხვაზე აი რას ვნახულობთ ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში: „სახალხო სკოლების დირექტორი კრუპსკი თავის ოფიციალურ ქაღალდში სახალხო სკოლების ინსპექტორს თანამდებობის შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულობას აბრალებს, რომელიც ნაგულისხმევია სასჯელთა დებულების 362, 332, და 515 სტატიებით. აგერ რამდენიმე თვე გადის, რაც ყველაფერი ეს ბრალათ ედება ტერ-გასპარიანცს.

მარა თითონ ბ. კრუპსკი სასჯელთა დებულების 404, 405 სტატიის ძალით არაპასუხისმგებელი, ვინაიდან მას ძალიან ზერელეთ უდევნებია თვალყური თავისი ხელქვეითი მოხელის, ბ. ტერ-გასპარიანცის მოქმედებისათვის“. მაშ ასე, ბატონებო, თუ თქვენ ყველა ამ ამბებს მხედველობაში მიიღებთ, მიიღებთ სახეში აგრეთვე სახალხო განათლების მინისტრის ამავე ტრიბუნიდან წარმოთქმულ განცხადებას, რომ კრიტიკულ მომენტში საშველათ პოლიციას უნდა მივმართოთო, მეორე მხრით მოვიგონებთ ტერ-გასპარიანცის მოღვაწეობას, რომ მან მასწავლებლათ პოლიციის და „ოხრანის“ ყოფილი მოსამსახურე დაყენა, კაცი, რომელიც წინათ სოფლის სამართველოში „მწერალი“ იყო და მერე ქალაქში ნამდვილი პოლიციის მოხელე გახდა; და აი ყველა ამაებს როცა გაითვალისწინებთ, თქვენ ნათლათ შენიშნავთ, რომ კავკასიაში ძალიან კარგათ ესმით ბ. კასოს დირექტივები და შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში მისი ხელქვეითები კიდეც უსწრებენ წინ მას. რატომ? იმიტომ, რომ, რაკი საშველათ, მეტი გზა არაა, პოლიციას უნდა მიმართონ, უმჯობესათ სცნობენ თითონვე აირჩიონ პოლიციის მწერალი და მასწავლებლებათ გაგზავნონ სკოლაში, ვიდრე. სკოლები და ბავშვები პოლიციაში მირეკონ, როგორც ამას ბ. კასო ჩადის.

მარა, რაკი საქმე ასეა დაყენებული, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა აქვთ სახეში, რა მიზანს ემსახურება ასეთი პოლიტიკა კავკასიაში და რას წარმოადგენს თვით ის სამოსწავლო გეგმა, რომელსაც აქ შეეხო და რაზედაც თქვენ გელაპარაკათ ჩემი ფრაქციული ამხანაგი ჩხენკელი. ბატონებო! ამ სამოსწავლო პლანში არაფერია იმაზე მეტი, რომ ბავშვებს ქართულ სკოლებში პირველი სამოსწავლო წლის დასაწყისში ქართულ ენაზე ასწავლონ, ხოლო წლის მეორე ნახევრიდან დაიწყონ რუ-

სულის სწავლება. ეს არის და ეს ამ სამოსწავლო გეგმის მთელი რევოლიუციონერობა! თქვენ ხედავთ, მგონია რომ აქ თქვენ მიერ აღიარებულ სამ ნაწილიან ფორმულას არა ევნება რა: ის ვერ ავნებს ვერც მართლმადიდებლობას, ვერც თვითმპყრობელობას და ვერც რუსეთის განუყოფელობას; ვინაიდან, თქვენ უნდა იცოდეთ, ქართული ენა, ეს ის ენაა, რომელზედაც საბარება გადათარგმნეს მეოთხე საუკუნეში, ე. ი. იმ დროს, როცა ბევრი თქვენგანის, ბატონ ნაციონალისტების, წინააპრები ტყეთ დაეხეტებოდენ (იცინიან მარჯვნით). რაც შეეხება თვითმპყრობელობას მე თქვენ მოგახსენეთ, რომ ქართველობამ, ყოველ შემთხვევაში მისმა მთავრობამ მაინც, რომლის ხელში იყო ერთ დროს მისი ბედ-იღბალი, გადასცა საქართველო რუსის მეფეებს. მაშასადამე, საიდანაც უნდა მოვუაროთ ქართულ ენას, აქ მის წინააღმდეგ ყოველნაირი ამხედრება სწორეთ რომ ყოველათ უსაფუძვლო იქნება.... (ხმაურობა მარჯვნივ). ჰო, თქვენ იტყვით, რომ ეს ყველაფერი იყო მაშინ, საქართველოს რუსეთთან შეერთება დიდი ხანია რაც მოხდა და მართლმადიდებლობისათვის ქართველები მართლაც იბრძოდენ ოდესღაც და სხვა და სხვა, ერთი სიტყვით „დროება“ გამოიცვალაო. (ხმაურობა მარჯვნით). დიახ, სრული სიმართლეა, დროება მართლაც რომ გამოიცვალა: ახლა ქართველობა იქ აღარ ეძებს ხსნას, სადაც ოდესღაც ეძებდა იგი. მარა საქმე იმაშია, რომ ქართულ ენას იმ დროსაც დევნიდენ, როცა ქართველი ხალხის არც რევოლიუციონერობა, არც სხვა რომ ასეთი საშიში არა ისმოდა რა, მაშინ როდესაც პოლიტიკანობას, შოვინიზმს და გარუსების პოლიტიკას კავკასიაში 1905 წლამდისაც აწარმოებდენ, როცა რევოლიუცია ჯერ კიდევ არავის გაეგონა. ამის დასამტკიცებლათ მე წარმოგიდგენთ ოფიციალურ საბუთს. აი რა სწერია ამ ოფიციალურ საბუთში: „წინანამესტნიკობის დროს სამშობლო ენაზე სწავლება არა თუ მარტო დაბალ სკოლებში იყო, არამედ საშუალო სასწავლებლებშიაც სწარმოებდა. და მერე ეს ხელს უწყობდა არა მარტო კავკასიის მცხოვრებთა გონების საღ და სწორ განვითარებას, არამედ მათში სახელმწიფო ენის განმტკიცებასაც უფრო შესაძლოთ ხდიდა, რაც, თუმცა ნელი ნაბიჯით, მარა მტკიცეთ სული უფრო და უფრო ვრცელდება მხარეში.

მკვიდრნი გრძნობდენ რუსული ენის საჭიროებას და თითონვე ეტანებოდენ მას. ბევრმა ქართველმა და სომეხმა, რაკი არ სჭირდებოდ სულ ერთიანათ მიივიწყა სამშობლო ენა. ასეთ პირთა რიცხვი, განსაკუთრებით თფილისში მრავალია. მე-70 წლებში თფილისის გიმნაზიაში სომხის მღვდელი იძულებული იყო სამღვთო სჯული ესწავლებია ბავშვებისათვის რუსულ ენაზე, რადგანაც მოსწავლეებს სომხური არ ესმოდათ; ქართველები ხომ როგორც ერთ მორწმუნე ხალხი, კიდევ უფრო ჩქარა შეუსისხლხორცდენ რუსებს: მაშინდელი ქართველი მწერლები არა თუ რუსის მწერლობის გავლენის ქვეშ თხზავდენ თავის ნაწარმოებთ, არამედ პირდაპირ რუსულ ენაზე აზროვნებდენ და მერე ეს ნაფიქრ — ნააზრევი სამშობლო ენაზე გადაქონდათ. ასე იყო საქმე წინათ. მაგრამ მე-80 წლებში, სწერია აქვე, სასკოლო პოლიტიკამ კავკასიაში ბრძოლა გამოუცხადა ადგილობრივ ენებს. მე თქვენ გკითხავთ: რათ დასჭირდათ ეს ბრძოლა? როგორც ოფიციალურ საბუთიდან ახლახან გაიგონეთ, ბატონებო, საბრძოლველი აქ არაფერი იყო, მარა უნდოდათ შეექმნათ ასეთი ბრძოლის ატმოსფერა მაინც, პოლიტიკანობა, რასაც ასე რიგიანათ უარყოფდენ ამ ტრიბუნიდან სწორეთ იმ მიზნით, რომ შექმნან ატმოსფერა სკოლებში პოლიტიკანობის შესატანათ.

ამის შემდეგ თქვენ თითონ შეგიძლიათ განსაჯოთ ამ პირების გულწრფელობა, რა შედეგი უნდა მიგვეღო ასეთი პოლიტიკიდან? აი ამის პასუხი ისევ ოფიციალურ დოკუმენტიდან. დაეტყო რა ამ პოლიტიკის გავლენა დაბალ სკოლების მოსწავლეთა გონებრივ დაქვეითება, მან იმავე დროს დაბადა მიზეზი, წინათ რომ არავინ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა ადგილობრივმა ენებმა ყველას ყურადღება მიიპყრო და მისი შესწავლა, მისი ცოდნა ყველასათვის ნაციონალურ სიამაყეთ და თავმოყვარეობის საგნათ გახადა. აი, მოწყალეო ხელმწიფენო, სანამდე მიგვიყვანა ხსენებულმა პოლიტიკანობამ, რომელსაც დღესაც ვრცლად აწარმოებენ ჩვენში და რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც არავითარ პოლიტიკას საზოგადოთ ადგილი არა აქვს.

ჩვენც ისე, ბრძანა სახალხო განათლების მინისტრმა, როგორც ვიტმერის გიმნაზიის მოსწავლენი შორს ვდგავართ ნადსონზე მარა ამის შემდეგ რითი არა ვართ დაახლოვებული აღზრდის ჭეშმარიტ პედაგოგიურ წესებთან, თუ სკოლა, როგორც.ის დაყენებულია კავკასიაში,

ნიჭს უხშობს და გონებას უჩლუნგებს მოსწავლეებს?!

სახალხო განათლების მინისტრმა სხვათა შორის „ღრმა ნორმალურ მუშაობის“ შესახებაც ილაპარაკა. მართლაც და რითი არაა ღრმა—შეწყობილი ის „პედაგოგიური“ მუშაობა“ კავკასიის სკოლებში, რომელმაც საქმე იქამდი მიიყვანა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი უარყოფით და მტრული თვალით უყურებენ სახალხო სკოლას?

თქვენ, ბატონებო, იგივე მინისტრი გაშინებდათ იმით, რომ თითქოს სკოლა რევოლიუციის ბინაკათ გამხდარიყოს; მინისტრმა აღნიშნა, რომ სოციალდემოკრატიის გავლენა დიდია სკოლებში და სხვა და სხვა. ჩვენ კი გულახდილით ვაცხადებთ, რომ სკოლაშიაც, ეკკლესიაშიაც და ყაზარმებშიაც, ლეგალურათაც და არა ლეგალურათაც, სადაც უნდა ვიყოთ, ჩვენ სოციალ—დემოკრატები როგორც ყველგან, ის კავკასიაშიაც მთელ ჩვენი ენერგიით შევებრძოლებით გამარუსებელ პოლიტიკას, რა ფორმაშიაც უნდა გამოცხადდეს ის, ვინაიდან ეს გამარუსებელი პოლიტიკა ერთი მუხლთაგინია იმ შავრაზმულ პოლიტიკისა, რომლითაც დღეს რუსეთის მთავრობა სულდგმულობს, და ახლა ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველას, ვისაც კი ეს პოლიტიკა არ მოსწონს და უარყოფს მას, მიიღოს ჩვენი შეკითხვა. ამით თქვენ იტყვით, რომ სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკას ყველგან, როგორც რუსეთის ცენტრალურ ადგილებში, ისე ყველა მის განაპირა მხარეებში, სასტიკი წინააღმდეგობა უნდაგაუწიოს ყველამ, ვისაც კი სიცოცხლის ძალა შესწევს და ეს პროტესტი უნდა გამოაშკარავდეს, როგორც სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხეებში, ისე სახელმწიფო დუმაშიაც! (ტაში მარცხნით)

თავმჯდომარე. კამათი დასრულებულია. კენჭს ვუყრი ამ შეკითხვის სიჩქარის საჭიროებას. სიჩქარის მომხრეა 94, წინააღმდეგი 194. ამავე საგნის შესახებ 43 პირისგან ხელმოწერილი შემოვიდა შემდგი განცხადება: „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ვთხოულობთ თუ შეკითხვის სიჩქარის საჭიროება უარყოფილ იქნება, დაენიშნოს შეკითხვათა კომისიას ორი კვირის ვადა, რომ წარმოადგინოს ამ კითხვის შესახებ დუმაში შესაფერი მოხსენება. პირველი ხელს აწერს **თავ. გელოვანი**.

თავ. გელოვანი (ქუთაისის გუბერ.): იშვიათი შემთხვევაა, რომ შემკითხველნი ისეთ ბედნიერ მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ახლა მე, იმის გამო, რომ ყოველივე, რასაც მე ახლა თქვენ მოგახსენებთ, ოფიციალურათ არის დასაბუთებული და მე ვფიქრობ, რომ ბ.ბ. მემარჯვნეები, რომლებიც მუდამ იმას გვიკიჟინებენ, რომ ცნობები შემოწმებული არ არიან, შესაძლოა ის შემცდარი იყვეს და ამიტომ უნდა უარვყოთ, როგორც სიჩქარის საჭიროება, ისე მისი ვადის დანიშვნაო, ამ შემთხვევაში იძულებული იქნებიან ჩაჩუმდნენ, რადგანაც, ვიმეორებ ყველა ჩემი ცნობები ოფიციალურია და მათი სისწორე ყოველ ეჭვს გარეშეა. და აი ამ მოსაზრებებით (მარჯვნით ხმაურობაა.) ნება მომეცით, მე მინდა ვილაპარაკო აქ, უფლება მაქვს და თქვენი (მიმართავს მემარჯვნეებს) შენიშვნა აქ სრულიათ უალაგოა. მე მინდა მიგითითოთ ამ შეკითხვის არა მარტო იმ მხარეებზე, რომელზეც ჩემმა თანამემამულეებმა ილიპარაკეს, არამედ სულ სხვა მხარეზე. ეს შეკითხვა თავისი შინარსით ორ ნაწილათ გაიყოფება: ერთ ნაწილს მხედველობაში აქვს სამოსწავლო ადმინისტრიციის დამოკიდებულება პირველ დაწყებითი სკოლებთან და 1881 წლ. კანონთან, ხოლო მეორეს საგნათ აქვს იმავე დირექციის დამოკიდებულება თვითმართველობასთან. მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივ თვითმართველობის წარმომადგენელთათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იმის გაგება, თუ როგორ ეპყრობიან ბ. კასოს ხელქვეითები სწორეთ ამ საზოგიდოებრივ თვითმირთველობებს.

როცა დეკემბერში სახალხო განათლების მინისტრის კასოს უფროსობით რუსის სახელმწიფოს უსაშინელესი მტრის, საშუალო სკოლების წინააღმდეგ გაილაშქრეს, მაშინ ადგილობრივ სამოსწავლო მთავრობას იმაზე უკეთესი სარბიელი აღარა დარჩენოდა რა, რომ აქაური პოლიტიკა იქ ადგილობრივ, პირველ დაწყებითი სკოლებზე გადაეტანა. და მართლაც, ბატონებო, კასოს სამინისტროს უწყების მდგომარეობა ადგილობრივათ, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში, იმდენათ უკეთესი და ხელსაყრელია, რომ ერთი სროლით შეიძლება ორი კურდღელი მოკლან: საბაბი ეძლევათ გაილაშქრონ სახელმწიფო მტრის წინააღმდეგ, საშუალო სკოლის სახით თუ ვერა, დაბალი სასწავლებლების მოსწავლეთა წინააღმდეგ მაინც და მასთან ერთათ ნაციონალური მტრობა-შუღლის ვამოწვევას ხელი შეუწყონ. ვიმეორებ, რომ აქ კასოს უწყებას დიდი,

ვრცელი ასპარეზი ეძლევა თავის ნებაზე საქმოქმედოთ და მისმა ხელქვეითებმა კიდეც ისარგებლეს ამით, როგორც მათ სულსა და გულს უნდოდა. სასწავლებლების წინააღმდეგ გალაშქრება ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის, ბ. კრუპსკის შენანიშნავ წერილით იწყება, რომელიც მან 1912 წ. 17 ნოემბერს ქალაქის საზოგადო თვითმართველობას გაუგზავნა ოფიციალურათ №-ით. არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ ამ წერილის დასაწყისი მაინც, რომ ნათლათ გიჩვენოთ, თუ როგორ უდიერათ იხსენებს, როგორ კილოზე სწერს ბ. სახალხო შკოლების დირექტორი ქალაქის თვითმართველობას; ეს სწერს ქ. ქუთაისის პირველ დაწყებითი სკოლასთან დირექციის დამოკიდებულების შესახებ: „ჩემ მოვალეობათ მიმაჩნია თქვენდა საყურადღებოთ გაცნობოთ, რომ არც ქალაქის გამგეობამ და არც მასთან დაარსებულმა საშვალო კომისიამ საკმაოთ არ იცის, თუ რა კანონები მოქმედებენ ხსენებულ უწყებაში, რომ მოწესრიგებულ იყოს სამოსწავლო მთავრობასა და საზოგადო თვითმართველობას შორის საურთიერთო დამოკიდებულება“, და თავისი მედიდური გაცხადების დასამტკიცებლათ, რომ ასეთი დამოკიდებულებანი არსად და არაფერდეს არ ყოფილა, ის სახალხო განათლების მინისტრის რაღაც, არავისთვის ჯერ არ გაგონილ, განკარგულებებზე უთითებს, მაგრამ, როცა თქვენ ამ განკარგულებებს უმართებულეს სენატის დადგენილებას შეუდარებთ, იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ ბ. დირექტორი განზრახ გვერდს უხვევს სიმართლეს და რაზედაც ის ქალაქის თვითმართველობას სწერს, იმ კითხვებზე სენატს მისი წერილის წინააღმდეგ აზრი აქვს გამოთქმული. ვფიქრობ, რომ სახელმწიფო დუმის ვერც ერთ სავარძლიდან ვერავინ იტყვის იმას, რომ რომელიმე სამინისტროს წარმომადგენელს უფლება ჰქონდეს ოფიციალურ ქაღალდში ტყუილები სწეროს.

გადავიდეთ ახლა სახალხო განათლების სამინისტროს მოხელეების პირველ დაწყებითი შკოლებთან დამოკიდებულებაზე. ბ. დირექტორს და მის თანაშემწეს რომ შეეკითხენ, თუ რა საბუთით აუქმებენ ისინი თავისი ცირკულიარებით კავკასის ორი ნამესტნიკისგან უკვე მოწონებულს და 1881 წელს დამტკიცებულ კანონს, იმათ მიუთითეს სახალხო შკოლების დირექციისა და ისპექციის სიეზდზე, რომელიც მათ 1912 წ. ქ. ბორჯომში მოუხდენიათ და რომელსაც მათი ცირკულიარების მსგავსი რეზოლიუცია გამოუტანია. მარა მე გარწმუნებთ, რომ ბ. კრუპსკი აქაც არ ამბობს სიმართლეს. ჯერ ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ იფიქროს, თითქოს ამა თუ იმ უწყების წარმომადგენელთა სიეზდს (ატყდება ხმაურობა. ხმები: „კმარა“, ისმის თავმჯდომარის ზარის ხმა) შეეძლოს რომელიმე დაწესებულებისათვის რაიმე კანონის დადგენა. მარა თუ გინდ ესს ასეც ყოფილიყო, მე ხელთა მაქვს სიეზდი ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ სიეზდმა ის აზრი გამოთქვა, რომ პირველ დაწყებითი შკოლებში სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებდეს, ხოლო რუსული ენის სწავდება სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდან არის შესაძლებელიო. მაშასადამე ბ. კრუპსკი აქაც არ ამბობს სიმართლეს!... (ხმაურობაა. ხმები: კმარა. თავმჯდომარის ზარის ხმა).

აქ დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას ამ საგანზე და გეტყვით მხოლოთ იმას, რომ საერო შკოლებთან სახალხო განთლების სამინისტროს უწყების ასეთ დამოკიდებულებაში, ჩვენ, ქართველები ვერ ვხედავთ ჩვენდამი იმ კეთილ-განწყობილებას, რომელზედაც ამ ტრიბუნიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ილაპარაკა.

კეთილ განწყობილება ჩვენ, უცხო ერებს, ყოველ შემთხვევაში ცოტა სხვანაირათ გვესმის. აი ამ კეთილ განწყობილების სურვილს იძულებული უნდა გაეხადა სახალხო განათლების სამინისტრო, რომ არ მიემართა ისეთი ზომებისათვის, რაც უეჭველათ იწვევს გაბრაზებას, რაც არ შეეფერება არც პედაგოგიურ და არც სხვა რაიმე გონივრულ მოსაზრებას, არამედ იწვევს მხოლოდ საერთო უკმაყოლებას. მე ვკითხულობ, რათა და რა მიზნით ხდება ეს? ვისთვის რა საჭიროა ეს კასოს სამინისტრო? მარა მე იმედი მაქვს, რომ სახელ. დუმა ამ შეკითხვის განხილვას ვადას დაუდებს, და ამით ბოლოს მოუღებს იმ აღმაშფოთებელ ძალადობას, რომელიც ხდება ადგილობრივ და ამასთან ერთათ ბოლოს მოუღებს სახალხო პირველ-დაწყებითი შკოლების ზედამხედველთა დათხოვნას, რომლებთაც არაფერი არ დაუშავებიათ, გარდა 1881 წ. კანონის შესრულებისა.

თავმჯდომარე: კენჭს ვუყრი თ. გელოვანის წინადადებას, რომ დაენიშნოს შეკითხვათა კომისიას ორი კვირის ვადა.

ვადის დანიშვნა უარყოფილ იქნა

სტამბა „ძმობა“, კაზაკოვის ქუჩა, სახლი № 17. გამომცემელი ს. ხვიჩია.